



მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #54 ივნისი, 2016

გამოშვებაში  
წაიკითხავთ

- 1 ტრენინგი კომპანია „ჯეოსელში“
- 2 კიბერუსაფრთხოების ფორუმის მორიგი სხდომა გაიმართა
- 2 ტრენინგი სახელმწიფო სერვისების განვითარების
- 3 ეროვნული გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ტარდება

„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ კომპანია „ჯეოსელში“ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შესახებ ტრენინგი ჩაატარა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებმა შპს „ჯეოსელის“ მაღალი რანგის მენეჯმენტისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებთან დაკავშირებით ტრენინგი ჩაატარეს.

ტრენინგის მიმდინარეობისას ძირითადი ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მართვის სისტემა და ინფორმაციული უსაფრთხოება, რისკების მართვა და ორგანიზაციის სარგებელი აღნიშნული მიდგომების გამოყენებით. დამსწრე აუდიტორია ასევე გაეცნო ISO 27001:2013 სტანდარტის მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია ორგანიზაციაში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული სტანდარტების დანერგვას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც საკუთრივ ამა თუ იმ ორგანიზაციისთვის, ისე ქვეყანაში ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევასა და შენარჩუნებისთვის.

„მონაცემთა გაცვლის სააგენტო მსგავს ტრენინგებს რეგულარულად ატარებს როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის, რომელთა გამართულ და უწყვეტ მუშაობას ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ისე კერძო კომპანიების წარმომადგენლებისთვის, რათა ამ ორგანიზაციებში გაუმჯობესდეს ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ხარისხი და, ზოგადად, სტანდარტები შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულ ნორმებთან (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) რომ მხოლოდ მიმდინარე წლის ივნისში ჩვენი სააგენტოს წარმომადგენლების მიერ უკვე ჩატარდა ორი ტრენინგი თემებზე - „ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა, მოთხოვნები და აუდიტი“/“ინფორმაციული უსაფრთხოების შესავალი, დანერგვა, აუდიტი“, რომელშიც კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ჩამონათვალში შემავალი სხვადასხვა ორგანიზაციის 35-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ჩვენს სააგენტოს წლის ბოლომდე კიდევ არაერთი ტრენინგის ჩატარება აქვს დაგეგმილი“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

შპს „ჯეოსელში“ ჩატარებული ტრენინგი ასევე მოიცავდა პრაქტიკულ მაგალითებს, რომელთა გამოყენებამაც მეტი სიცხადე შეიტანა სტანდარტის მოთხოვნების მნიშვნელობის ილუსტრირების თვალსაზრისით.

ტრენინგი შემუშავდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს მიერ.

## სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმის მორიგი შეკრება გაიმართა

ფორუმის მონაწილე სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს წარედგინათ საბჭოს აპარატში შემუშავებული საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალურ დოკუმენტს. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებულ პრობლემებს, გამოწვევებსა და საფრთხეებს და ასევე განამტკიცებს მათი აღკვეთისა და შემცირების ზომებს. საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, მონაწილეების მიერ შეფასებულ იქნა როგორც სახელმწიფო



პრიორიტეტების სწორად განმსაზღვრელი დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ მოცემულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის ყველა მთავარმა მოთამაშემ. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს იმდენად რამდენადაც სწორედ კერძო სექტორი ფლობს საქართველოს კრიტიკული ინფორმაციული სისტემების უდიდეს ნაწილს.

კიბერუსაფრთხოების ფორუმი რეგულარულ შეხვედრებს სამომავლოდაც გააგრძელებს.



## ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის ტრენინგი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლებმა ამავე სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“ ტრენინგი ჩაატარეს.

ტრენინგი გაიმართა ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნის თანახმად და მიზნად ისახავდა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის - „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ შესაბამისი პროფილის სპეციალისტები გაცნობოდნენ როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის საფუძვლებს, ისე ზოგადად

ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვისა და აუდიტის პრინციპებს (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) ტრენინგის მიმდინარეობისას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამისმა პერსონალმა შეისწავლა ინფორმაციული უსაფრთხოების ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ორგანიზაციამ უნდა დააკმაყოფილოს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ჩამოყალიბების, დანერგვის, ფუნქციონირებისა და გაუმჯობესების ყველა ეტაპზე.

აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინება სავალდებულოა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის, რომელთა გამართულ და უწყვეტ მუშაობას ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო მსგავს ტრენინგებს რეგულარულად ატარებს როგორც კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების, ისე კერძო კომპანიების წარმომადგენლებისთვის, რათა ამ ორგანიზაციებში გაუმჯობესდეს ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ხარისხი და, ზოგადად, სტანდარტები შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულ ნორმებთან.

ტრენინგის დასრულების შემდეგ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თანამშრომლებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ.

### წელს გამოცდები პირველად ტადება ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით



ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა გულისხმობს გარკვეულ უპირატესობებს.

ელექტრონული ტექსტის შემთხვევაში, განსხვავებით ნაბეჭდისაგან, არ არის შეზღუდული მრავალფეროვანი ვიზუალური მასალის გამოყენება, უფრო მარტივია გამოსახულების მაღალი ხარისხის მიღწევა და სხვა. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად ამარტივებს კონკრეტული დავალების აღქმას, იძლევა ერთი დავალების ერთ გვერდზე, წაკითხვისათვის მაქსიმალურად მოსახერხებლად განთავსების, ფერების გამოყენების შესაძლებლობას. გარდა ამისა, შესაძლებელი ხდება დავალების, ტექსტის გაცილებით ეფექტურად ორგანიზება და მიწოდება კონკრეტული

დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით. ელექტრონული პროგრამა ძალიან მარტივი მოსახმარია.

მხოლოდ ორი დღისაგან გამოყენება საჭირო იმისათვის, რომ აპლიკანტმა გვერდიდან გვერდზე გადაფურცლოს ელექტრონული ბუკლეტი. გარდა ამისა, მონაწილეს შეუძლია გაადიდოს, ბევრად უფრო ადვილად აღსაქმელი გახადოს კონკრეტული დავალება და ა.შ.

იხილეთ ჩვენი საიტები  
[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**მონაცემთა გაცვლის სააგენტო**

თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ